


# მსოფლიოს შემოვსნათ დაშნა და ფარაჯა

დამდგარან მშვიდობის, სიცოცხლის  
 დარაჯად,  
 ფხიზლობენ მამები, დედები.  
 მსოფლიოს შემოვსნათ დაშნა და  
 ფარაჯა—  
 ყველგან მტრედები, მტრედები!  
 სამშობლო ავახსეთ ოქრო და  
 ბადახსით,

მშეს მიწვევით ფოლადის  
 რაშებით.  
 შეჩერდით! ძნელია ატომთან  
 თამაში—  
 ფრთხილად, ბავშვები, ბავშვები!  
 ომი დედამიწას ამსგავსებს  
 ლაზარეთს  
 ცისა და ხმელეთის ამკლები,  
 ვარდებით დაფუხშოთ ლულები  
 ზარბაზნებს,—

ფრთხილად, აკვნები, აკვნები!  
 ვაქციოთ სიცოცხლის, მშვენიერის  
 მხარედა  
 მინდვრები, ტყეები, ქედები,  
 რომ იყოს ეს ჩვენი ლამაზი  
 პლანეტა  
 ედემი, ნამდვილი ედემი.  
 ვ. შავჩაშვილი



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და  
 ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა  
 საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ლ ე ლ**  
 ორგანიზაციი Гრუინской ССР и Грუинского  
 республиканского совета профсоюзов

**1**  
**ი ვ ნ ი ს ი**  
 ხუთშაბათი,  
 1961 წ.  
 № 71 (1707)  
 გამომცემის 80-17 ფელი  
 ფასი 3 კაპ.

### პირველი ნახევარფინალი

ამას წინათ ბულგარეთში გაიმართა ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი ნახევარფინალური შეხვედრა ქალაქ დიმიტროვის „მინიორსა“ და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის (მოსკოვი) ვაჟთა გუნდებს შორის.  
 ბულგარელმა ფრენბურთელებმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მოიპოვეს გაამარჯვება ანგარიშით 3:1 (15:10, 6:15, 15:13, 17:15). ამ გუნდების განმეორებითი მატჩი მოეწყობა მოსკოვში.

### სარეკორდო სისწრაფით

კაუნასის მახლობლად რკალურ საგზატყეცილო ტრასაზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ავტომობილისტთა შეჯიბრება.  
 პირველი ადგილები დაიკავეს მოსკოველებმა ვ. კურბატოვმა, კ. კალიგინმა, ვ. პტუშინმა და ლენინგრადელმა ვ. მარეიკინმა.



## ჩვენი ბავშვების ბედნიერება — ჩვენი ბედნიერებაა

I ივნისს — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მთელი მსოფლიოს მოწინავე და პროგრესული ადამიანები გამოხატავენ თავის რწმენას, რომ რაღაც არ უნდა დაუჭდეო, მშვიდობა შენარჩუნებულ იქნეს ჩვენი ბავშვებისათვის — კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის.  
 ევროპის ცენტრში, ბერლინის ერთ-ერთ პარკში დადგმულია შესანიშნავი ძეგლი საბჭოთა მეომრის

სა. მეომარს ცალ ხელში მახვილი უჭირავს, მეორეში კი ბავშვი. სკულპტურული ნაგებობა თითქოს აფრთხილებს ადამიანებს და ეუბნება: არ დაივიწყოთ წარსული ომის საშინელება და არ გააჩაღოთ იგი კვლავ, არ დაუშვათ ახალი ომი, ბავშვებს ბედნიერი და ნათელი მომავალი შეუქმენით!  
 დახედეთ ამ სურათს, როგორი სიხარულის ღიმილი დანათით სახეებზე ჩვენი დიდი ქვეყნის ამ პატარა მოქალაქეებს. ასე არაა ყველგან: მსოფლიოში ჯერ კიდევ ყვე-

ლა ბავშვს როდი აქვს საშუალება იცხოვროს კარგად, იაროს სკოლაში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პატარა გოგონებისა და ბიჭუნების მთავარი საზრუნავი მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნაა. ამერიკელ ზანგ ბავშვებს, იქ სადაც თეთრები სწავლობენ, ფეხს არ ადგმევენ ბენ. ალტერული ბავშვების ყურში ჯერ კიდევ დაუმცხრალი ომის ტყვიათა ზუსუნვი წივის, იტანჯებიან ბავშვები ანგოლაში, სამხრეთ-აფრიკის კავშირში და სხვა ქვეყნებში.  
 ჩვენი ბავშვები, კომუნისტების მო-

მავალი მშენებლები, გარემოცულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით. იმ დროს, როდესაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, იბრძვიან საერთაშორისო დასაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ აცილებულ იქნას ახალი მსოფლიო ომი, იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები აფართოებენ საომარ მზადებას, ზრდიან ატომური და რაკეტული იარაღის მარაგს, თავგამოდე-

საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება ტურისტებს იზიდავს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან, სათანადო დანერგვებს იხიენ აგრეთვე რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა, მშრომლები, უკანასკნელ წანებში ტურიზმმა განსაკუთრებით გაიტაცა საშუალო სკოლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები.  
 ქების ღირსი არიან საჩხერის რაიონის ქორეთისა და კობრულის, მახარაძის რაიონის ასკანის, დმანისის რაიონის განთიადის, სიღნაღის რაიონის ბობდეს, ბათუმის რაიონის ჩხუტურეთისა და ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის საშუალო სკოლების ტურისტული ჯგუფების საქმიანობა, რომელთა ხელმძღვანელები მ. გოგატიშვილი, ა. მაჭარაშვილი, ლ. იქვიტინაძე, თ. აკრეტოვი, ნ. ჩაფიძე, ა. კახიძე, ნ. სინაურაძე სიყვარულით ეცილებიან მოსწავლეთა მიერ მშობლიური მხარის შესწავ-

ლისა და მათი ფიზიკური წრთობის საქმეს.  
 ბევრი კარგი გააკეთეს განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა (დირექტორი მ. ერისთავი) და ქუთაისის ბაზამ (დირექტორი ა. ჩაქვეტაძე), რომლებიც საქმიან დახმარებას უწყვიენ თვითმოქმედ ჯგუფებს. ნორჩმა ტურისტებმა ლაშქრობის პერიოდში შექლეს მოგზავნიან ძვირფასი აღმოჩენები, გაგარის რაიონის ხეივანის მე-2 საშუალო სკოლის ტურისტებმა მიაგნეს პირველყოფილი ადამიანის უძველეს სადგომს და არქეოლოგიური მნიშვნელობის იშვიათ ექსპონატებს. საჩხერის რაიონის ქორეთის სკოლის ტურისტებმა აღმოაჩინეს უძველესი ხანის კაეის იარაღები, ნივთები და სხვა.

## ნორჩები ტურისტულ ბილიკებზე

გასულ წელს ჩატარებულ ლაშქრობათა შედეგად საქართველოს ათასობით მოსწავლემ ჩააბარა ტურიზმისა და ბიონერული საფეხურის ნორჩები, განმტკიცდა კავშირარუსეთისა და უკრაინის ნორჩ ტურისტებთან. მათ გარდა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა მომსახურება გაუწვია მოამე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ 3 ათასამდე ნორჩ ტურისტს.  
 საქართველოს სკოლებში ტურისტული და მხარეთმცოდნეობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი ამას წინათ მოისმინეს განათლების სამინისტროში და დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.  
 რესპუბლიკის განათლების გან-

ყოფილებებთან შეიქმნება ტურიზმის ხელმძღვანელი სექციები, ყველა რაიონის 2-3 საშუალო სკოლასთან გამოიყოფა თითო ოთახი, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლებათ ჯგუფების მიღება დამის გასათვად, ყველა სკოლისათვის სავალდებულო გახდა ტურისტული აღჭურვილობის შექმნა ერთი ტურისტული ჯგუფისათვის, ამასთან ყველა სკოლა უნდა ზაგაბას პიონერ-მოსწავლეთა III საკავშირო ექსპედიციის მუშაობაში ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად წელს საქართველოს გაიღებთ შეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას ტურისტულ მოგზაურობებში, ექსკურსიებსა და ლაშქრობებში.



სხეულის გაკაყება გინდა? გსურს გახდე ჩემპიონი ქაღალაქში? სპორტის ოსტატი რომელიმე სახეობაში? მწვერვალთა დაპყრობა განგიზრახავს?.. ამ ოცნებას შეიძლება ფრთები შეასხას თბილისის ბ. ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ. აქ ხომ ნორჩ ფიზკულტურელებს დათმობილი აქვთ კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზები, მოედნები და სასროლები. აქ იკაყებენ სხეულს, აქ იწრთობ...

ბიან მომავალი ოსტატები: ტანმოვარჯიშეები, მოქიდავეები, აკრობატები, მოფარიაკვენი, კალათბურთელები... მოწინავე სპორტსმენებს შორის ბევრია პიონერთა სასახლის კედლებში აღზრდილი, რომელთაც კარგად იცნობენ ნორჩი სპორტსმენები: ფრენბურთელებს — ვ. კაჭარავას, ც. აბუაშვილს, მოფარიაკვეებს — მ. სულთან-შვილს, ი. ოსიპოვს, რ. ცირეკიძეს, მსოფლიო ჩემპიონს სროლაში — შ. ქველიაშვილს, მოკაღარაკებს — გროსმაისტერ ტ. პეტროსიანს, ნ. ვაფინაძეს, ე. კაკაბაძეს, მ. ტოგონიძეს. პიონერთა სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება მრავალ საინტერესო ღონისძიებას ატარებს. ამ ბოლო თვეებში ორმოცამდე სხვადასხვა სახის სპორტული დილა, შეხვედრები და საკლასიფიკაციო შეჯიბრებები ჩატარდა სასახლის სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე. ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა შეჯიბრება სასახლის თასზე, სადაც თბილისის მრავალი სკოლის პიონერთა რაზმელების ნორჩმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. ისინი სპორტის 4 სა-



ხეობაში — ქაღალაქში, კალათბურთში, ფრენბურთსა და სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. — ზაფხული იწყება, ჩვენი ბავშვები პიონერთა ბანაკებში წაგლეწი დასასვენებლად, — გვეუბნება სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ტ. ბახტაძე და განაგრძობს, — ნორჩი სპორტსმენები აქ მიღებულ ცოდნას პიონერთა ბანაკებში თავის ამხანაგებს გადასცემენ, იმათ კვინც სპორტს არიდებს თავს, სპორტულ მუშაობაში ჩაებავენ. ყოველთვის ღიაა სასახლის კარები, აქ ხომ მომავალ ჩემპიონთა გზა იკვალება. ი. არგოხელი

სოფლის სკოლების მოსწავლეთა შორის

სიღნაღის „კოლმეურნის“ რაიონის სპორტის განყოფილებაში ბასთან ერთად ჩატარდა სოფლის სკოლების მოსწავლეთა მძლეობის შეჯიბრება, მონაწილეობა მიიღო 14 საშუალო და 2 შვიდწლიანი სკოლის 170-მა სპორტსმენმა, შეჯიბრება ჩატარდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

წარმართვის

მრავალი წლის განმავლობაში მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისთვის სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალურმა კომიტეტმა „სსრკ დოსაფის საბატიო ნიშნით“ დაჯილდოვა საქართველოს ორგანიზაცია და აქტივისტების დიდი ჯგუფი.

გზა იკვალება

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ძველი ანაგის 7-წლიანმა სკოლამ, მეორეზე გამოვიდა წნორის ქართული საშუალო სკოლა, შეჯიბრების შედეგად ორმა მოსწავლემ შეასრულა III თანრიგის ნორმატივი, ხოლო 25-მა — მოზარდთა თანრიგისა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ძველი ანაგის 7-წლიანმა სკოლამ, მეორეზე გამოვიდა წნორის ქართული საშუალო სკოლა, შეჯიბრების შედეგად ორმა მოსწავლემ შეასრულა III თანრიგის ნორმატივი, ხოლო 25-მა — მოზარდთა თანრიგისა.




ქართველი მსროლელი სპორტის ადგილებზე

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). „დინამოს“ სასროლეთა გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება ტყვეთა სროლაში საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა გუნდების მონაწილეობით. ეს არის ძალთა ერთგვარი შემოწმება მომავალ დიდ შეჯიბრებათა წინ. გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის სპორტსმენებმა მოსკოვში ჩამოსვლამდე ძალები სცადეს ბულგარეთში, სადაც დაამყარეს ორი მსოფლიო რეკორდი. ქალთა შორის წოლელა სროლაში

50 მეტრზე ჩეხოსლოვაკიის გუნდმა 1.800 შესაძლებლიდან 1.773 ქულა დააგროვა და 4 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, ჩეხოსლოვაკიის ორბურთელები ერთი ქულა წაუბატა ძვირ მსოფლიო რეკორდს და 600 შესაძლებლიდან 595 ქულა დააგროვა. გარდა ამისა, დამყარებულ იქნა 5 ეროვნული რეკორდი. ამრიგად, სტუმრები ყოველმხრივ მომზადბულნი ჩამოვიდნენ მოსკოვში.

პირველი დღე აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენთა აშკარა უპირატესობით. მცირეკალიბრიანი პისტოლტოდან 50 მეტრზე სროლაში ა. გუმბინმა 600-დან 557 ქულა მოაგროვა. მას ერთი ქულით ჩამორჩნენ თანაგუნდელები ვ. აბრამოვიჩი და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ვ. სალუქვაძე. ქაბუეთა შორის პირველი იყო ა. ულაჩინი — 367 ქულა 400-დან.

საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ სამივე საპრიზო ადგილი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაშიც. მ. ნიიხოვიჩმა, ი. კულდიაშოვმა და შ. ქველიაშვილმა შესაბამისად აჩვენეს 590, 589 და 586 ქულა. ქალთა შორის თავი ისახელეს იუგოსლაველმა ნ. დონეტიმ — 588 და ი. ტორმანმა (გერმ) — 586 ქულა. ქაბუეთა შორის გამოირჩეოდა ე. კნიაზევი (საბჭოთა კავშირი), რომელმაც ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა — 592 ქულა. მ. ნიიხოვის დარჩა გამარჯვება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 3X40. მან 1152 ქულა მოაგროვა.




ჩამოწმებული ტანვარჯიში დღის პირველ ნახევარში I. მოწყობა ერთრიგად, სიარული, მარჯვენის ყოველ ნაბიჯზე ტაში ტანს წინ — 30 წამი. II. სიარულის განგრძობით და თანდათან აჩქარებით რბენაზე გადასვლა 15-20 წამი, სიარული შენელებით სრულ შეჩერებამდე — 20-25 წამი. სუნთქვა თანაბარი, ღრმა. III. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლა 1-2, ზემოკლავი, მარცხენა ფეხი უკან ცერზე, თავი მაღლა, გაწნევა — ღრმა ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ღრმა ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ ნელი ტემპით. IV. ს. მ. დონიჭი, თვლა 1-2. ბუქნი, განმკლავი, თითების მომუქვა — ამოსუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ჩასუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპით. V. ს. მ. ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე, დონიჭი. თვლა 1-2. ზეტანის მარცხნივ ბრუნება, მარცხენის ორჯერ განმკლავი გაკვირთ, ნები ზევით. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

გამეორება 6-8-ჯერ, თვითივლ მხარეს, საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი. VI. სიარული ერთრიგად, თანდათან აჩქარებით რბენაზე გადასვლა 10-15 წამი, სიარული შენელებით სრულ შეჩერებამდე — 20-25 წამი, სუნთქვა თანაბარი, ღრმა. VII. ს. მ. ღუნწინმკლავი, ხელები თავსუკან. თვლა 1-2. იდაყვების უკან გატანით, გაწნევა — ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ, ნელი ტემპით. VIII. ს. მ. ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე. თვლა 1-2. უკუნეჭი, განმკლავი, ნებები ზევით — ჩასუნთქვა. 3-4. წინწეჭი, ხელების მიწაზე

III კომპლექსი შეასრულეთ 1-ლ იმნი-სიდან 15 ივლისამდე კარგ ამინდში. ნაწვიმარში შეასრულეთ კომპლექსი № 2 შეხება — ამოსუნთქვა. გამეორება 4-6-ჯერ, საშუალო ტემპით. IX. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლა 1. მარჯვენის განმკლავი, თითების მომუქვა. 2. მარცხენის განმკლავი, თითების მომუქვა. 3. წინმკლავი, ტაში. 4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპით, აჩქარებით, სუნთქვა თანაბარი. ჩამოწმებული ტანვარჯიში დღის მეორე ნახევარში I. სიარული, თვლა 1. მარცხენის ნაბიჯზე ღუნწინმკლავი მკერდთან. 2-3-4. სამი ნაბიჯი წინ ცერებზე, განმკლავი სამჯერ უარამდე-შესუნთქვა. 5-6-7-8. ოთხი ნაბიჯი წინ მთელ ტერფზე, ამოსუნთქვა. გამეორება 4-6-ჯერ, ნელი ტემპით. II. სიარული, თვლა 1. მარცხენის ნაბიჯით, ზეტანის მარცხნივ ბრუნება. მარცხენის უკუნეჭი, მარჯვენის ზეწინმკლავი, თავი მარცხნივ უკუნეჭი მარცხენა ხელს. 2. მარჯვენის ნაბიჯით, ზეტანის მარჯვნივ ბრუნება, მკლავების მდგომარეობის შეცვლა, თავი მარჯვნივ,

უკუნეჭით მარჯვენა ხელს და ა. შ. გამეორება 6-8-ჯერ თითოეულ მხარეს საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი. III. სიარული, თვლა 1. მარცხენის ნაბიჯზე ნახევარწინწეჭი, ტაში ტანს წინ. 2. მარჯვენის ნაბიჯზე ზემართი, ტაში ტანს უკან. 3-4. იგივე. 5-6-7-8. ოთხი ნაბიჯი ხელების თავისუფალი მოძრაობით. გამეორება 4-6-ჯერ. საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი. IV. სიარული, თვლა 1. ნაბიჯი წინ, წინმკლავი. 2-3-4. სამი ნაბიჯით წინ მტევნების გარეწრებით ტრიალი, ყოველ ნაბიჯზე თითების მოხვრა გაშლით. 5-6-7-8. ოთხი ნაბიჯი წინ, მკლავების თავისუფალი და დიდი ამპლიტუდით მოძრაობით. გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპით, სუნთქვა თანაბარი. ფიზკულტურით I. ს. მ. ფეხშლით დგომა, მხრებზე განივად, ხელები ტანს უკან, თითები გადახლართული. თვლა 1-2. უკუნეჭი, თავი მაღლა, მკლავების უკან გატანით ჩასუნთქვა. 3-4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება-ამოსუნთქვა. გამეორება 6-8-ჯერ. II. ს. მ. ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე. თვლა 1-2-3. ნელი განმკლავი ხელის მტევნების „დებრტყვით“. 4. მკლავების მოდუნებული „ჩამოგდება“. გამეორება 6-8-ჯერ, სუნთქვა თანაბარი.




გუშინ სპორტის სახალხო და-  
წყობის საერთაშორისო ამხანაგური  
შეხვედრა უნგრეთისა და საქარ-  
თის ტანმოვარჯიშეთა შორის.  
პირველი დღის პროგრამაში შედი-  
ოდა ხტომების და ნაისიმალის  
ორძელზე ვარჯიში ქალთათვის,  
ხოლო ვაჟთათვის — თავისუფალი  
ვარჯიში, ტაიქი და რგოლები.  
ხტომების შემდეგ დაწინაურდა  
ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნ-  
დი, რომელმაც საერთო ჩათვლაში  
პროგრამა 47,068 ქულა. უნგრე-  
ლები მასპინძლებს ჩამორჩებოდნენ  
9,228 ქულით. პირად ჩათვლაში  
ამ ვარჯიშში საუკეთესო იყვნენ  
უნგრეთის ჩემპიონი, სპორტის ოს-  
ტატი კლარა ფიორსტნერი და უ.  
ქაჯაია, რომლებმაც მიიღეს ერთ-  
ნაირი შედეგები — 9,588 ქულა.  
ნაირსიმალის ორძელზე ვარჯიში  
უნგრელების უპირატესობით აღი-  
ნაშნა. ამ უპირატესობამ მათივე  
სასარგებლოდ შეცვალა ლიდერო-

ბის საკითხიც: ორი იარაღის ჯამში  
სტუმრების ქალთა გუნდმა დაა-  
გროვა 93,868 ქულა და გადაუწერო  
ჩვენი რესპუბლიკის გუნდს, რომე-  
ლსაც აქვს 93,897 ქულა.  
პირად ჩათვლაში ორძელზე ვარ-  
ჯიშში საუკეთესო იყო კვლავ კ.  
ფიორსტნერი — 9,666 ქულა. მეორე  
ადგილზე გამოვიდა უ. ქაჯაია —  
9,566 ქ, ხოლო მესამე-მეოთხე ად-  
გილები გაიყვეს ი. პიდგაუტმა და  
გ. შარაბიემ — 9,5 ქულა.  
ორი ვარჯიშის ჯამში ქალთა შო-

**საერთაშორისო შეხვედრა  
სპორტულ ტანმოვარჯიშში**  
რის 19,199 ქულით ლიდერობს კ.  
ფიორსტნერი. მას კვალდაკვალ  
მიყვება უ. ქაჯაია, რომელსაც აქვს  
19,099 ქულა.  
ვაჟთა გუნდებს შორის შეჯიბრე-  
ბაში თავიდანვე გამოიკვეთა ჩვენი  
რესპუბლიკის სპორტსმენთა უპირა-

ტესობა, რომლებმაც თავისუფალ  
ვარჯიშში მოაგროვეს 47,2 ქულა  
უნგრეთმა 46,6 ქულის საპირის-  
პიროდ, ტაიქზე ვარჯიშში — 46,85  
(უნგრელებმა — 45,9) ქულა და  
რგოლებზე ვარჯიშში — 47,25 (უნ-  
გრელებმა — 46,8) ქულა. სამი  
ვარჯიშის ჯამში ჩვენი ტანმოვარ-  
ჯიშეთა გუნდი სტუმრებს უსწრებს  
2 ქულით.  
პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის  
ასეთი სურათია: თავისუფალი ვარ-  
ჯიში — რ. კაჯახიძე — 9,65, მ.

ბოგუსი — 9,5, ი. კოვალიოვი და  
გ. ბიკერი (უნგრეთი) — 9,45,  
9,45 თვითუღეს; ტაიქი — ჯ. ფრ-  
დონიშვილი — 9,65, ი. კოვალიოვი  
9,55, ლ. ვარგა (უნგრეთი) — 9,5,  
რგოლებზე — ლ. ვარგა — 9,65, მ.  
ბოგუსი და გ. ბალიაური — 9,6  
თვითუღეს.  
სამი ვარჯიშის ჯამში პირველ  
ადგილზე მიდის ჩვენი რესპუბლი-  
კის წარმომადგენელი მ. ბოგუსი  
— 28,45 ქულა. მეორე-მესამე  
ადგილებს იკავებენ უნგრეთის ჩემ-  
პიონი ლ. ვარგა და საქართველოს  
გუნდის წევრი ი. კოვალიოვი,  
რომლებმაც დააგროვეს 28,3 ქულა.  
მომდევნო ადგილებზე მიდიან: ჯ.  
ფრიდონიშვილი და ი. ბალიაური,  
რომლებმაც აგროვეს ერთნაირი  
შედეგი აქვთ — 28,2 ქულა.  
შეჯიბრება დამთავრდება დღეს.  
სურათში: რ. კაჯახიძე ტაიქზე  
ვარჯიშის დროს.



# უნგრეთი

შედეგ მორიგი, IX ტურის მატ-  
ჩები საქართველოს პირველობაზე  
ფეხბურთში.  
მეორე დამარცხება. განიცადა  
ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდ-  
მა, რომელიც განვილი ტურში  
შეხვედა თბილისის არმიელთა გუნდს.  
უკვე მე-11 წუთზე სტუდენტთა  
კარში დაინიშნა პენალტი, რომე-  
ლიც ზუსტად გამოიყენა  
ვ. მარტიენი — 1:0.  
შესვენების შემდეგ არ-  
მიელთამ ანგარიში კიდევ  
ერთი ბურთით გაზარდეს. შემდ-  
გომში ინსტიტუტის გუნდმა ერო-  
თად-ერთი ბურთის გაქვითა შეძლო  
11-მეტრიანი საჭარბით დარტყ-  
მით და გამარჯვება დარჩათ არმიე-  
ლებს — 2:1.

შეტად საინტერესო გამოდგა მატ-  
ჩი ქობულეთში ადგილობრივ „შუ-  
ჭურასა“ და მახარაძის „სისარულს“  
შორის. მასპინძლებმა საუკეთესო  
თამაში აჩვენეს ამ მატჩში. მათი  
უპირატესობა განსაკუთრებით ხელ-  
სახები იყო პირველ ტაიმში, რო-  
ცა მახარაძელთა კარში გატანილ  
ქანა 3 „მშრალი“ ბურთი. სტუმ-  
რებმა მნიშვნელოვნად გამოასწო-  
რეს თამაში მეორე ტაიმში, მაგ-  
რამ უკვე გვიან იყო. ქობულეთის  
„შუჭურამ“ მიიღწია დამსახურე-  
ბულ გამარჯვებას ანგარიშით 5:2.

## გათამაშების ცხრილები

**I კვაჯაუზი**

მდგომარეობა 1 ივნისისათვის

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„სისარული“ მახ. 9 6 2 1 27:13 14
„მეშახტე“ ტყობ. 9 5 3 1 22:7 13
„განთიადი“ ბათ. 9 5 3 1 15:7 13
ფიზკ. ინსტ. თბ. 9 5 2 2 19:10 12
სკა თბილისი 9 4 3 2 14:10 11
„შუჭურა“ ქობ. 9 4 2 3 18:14 10
„ინფორტი“ ქუთ. 9 3 4 2 16:11 10
„მად.“ ქიათ. 9 4 2 3 15:13 10
„ახაბარო“ ჩოხ. 9 4 1 4 16:28 9
„კოლხიდა“ ხობი 9 2 4 3 11:9 8
„კოლმ.“ თელ. 9 1 4 4 18:30 6
„სალხ.“ გეგემ. 9 2 1 6 13:23 5
„მეჭ.“ ადიგენი 9 1 1 7 11:24 3
„დინ.“ სობ. 9 0 2 7 7:21 2

**II კვაჯაუზი**

„გურია“ ლანჩხ. 9 8 0 1 26:11 16
„განთ.“ ცხაპ. 9 5 2 2 16:11 12
„ლოკ.“ სამტრ. 9 5 1 3 16:10 11
„სპარტაკი“ სტ. 9 5 1 3 11:12 11
„მესხ.“ ახალცი. 9 4 2 3 17:12 10
„დილა“ გორი 9 4 1 4 15:11 9
„დეიქარი“ წულ. 9 4 1 4 14:21 9
„ოლიში“ ზუგ. 9 4 0 5 18:18 8
„სპარტაკი“ თბ. 9 3 2 4 7:8 8
„ფურუჯი“ ყვარ. 9 3 2 4 11:16 8
„მეზღვ.“ ფოთი 9 2 3 4 8:9 7
„მშენებ.“ ქუთ. 9 2 3 4 12:16 7
„სპარტ.“ რუსთ. 9 1 3 5 10:19 5
„ისანი“ თბ. 9 2 1 6 17:24 5

# მე-9 ტურის მატჩები

დიდი ანგარიში — 4:0 იქნა  
ფიქსირებული ხობის „კოლხეთისა“  
და სოხუმის „დინამოს“ მატჩში,  
მაგრამ პირველ ტაიმში არაფერი  
მეტყველებდა იმაზე, რომ თამაში  
ამ შედეგით დამთავრდებოდა. გუნ-  
დები შესვენებზე წავიდნენ ისე,  
რომ ანგარიში არ გახსნილა. შეს-  
ვენების შემდეგ „კოლხეთმა“  
მთლიანად ხელთ აიღო ინიციატი-  
ვა და დამარცხა მოწინააღმდეგე  
ანგარიშით 4:0.

კიდევ 2 ქულა ჩაიწერა ვათამა-  
შების ცხრილში ბათუმის „გან-  
თიადმა“, რომელიც გეგემქორში  
თამაშობდა ადგილობრივი „სალხი-  
ნოს“ წინააღმდეგ. ბათუმელებმა  
შეტევით დაიწყეს თამაში და და-  
წინაურდნენ უკვე პირველ ტაიმ-  
ში — 3:1. მასპინძლები ბევრს  
ეცადნენ შეეტანათ გარდატეხა  
მეორე ტაიმში, მაგრამ შეძლეს  
მხოლოდ ის, რომ უცვლელი დატო-  
ვეს ანგარიში — 3:1.

ტყობულის სტადიონზე შედეგა  
ადგილობრივი „მეშახტის“ მატჩი  
რესპუბლიკის გასული წლის ჩემ-  
პიონ ქუთაისის „იმერეთთან“. ოლ-  
სანიშნავია, რომ ეს იყო ტყობუ-  
ლელთა პირველი თამაში თავიანთ  
მინდორზე. ხანგრძლივი წვიმის შე-  
დეგად მინდორი შეტდა ატალახი-  
ნებულ იყო, რის გამოც გუნდებმა  
ვერ აჩვენეს თავიანთი სრული შე-  
საძლებლობანი. შეხვედრა დაშ-  
თავრდა ფრედ — 1:1.

ქიათურის „მალაროელმა“ თავის  
მინდორზე მიიღო ჩოხბატურის  
„ბახმარო“. ორივე გუნდი თამა-  
შობდა დიდი მონდომებით და  
ენერგიულად. საბოლოოდ გამარჯ-  
ვება დარჩა ქიათურის ფეხბურთე-  
ლებს ანგარიშით 3:2.

10 გოლი იქნა გატანილი თელი-  
ვის „კოლმეურნისა“ და ადიგენის  
„მექანიზატორის“ შეხვედრაში, რო-  
მელიც თელავში შედგა. დასაწყისი  
მინდინარეობდა მასპინძელთა სრუ-  
ლი უპირატესობით და ანგარიშიც  
მათს სასარგებლოდ წარიმართა —  
3:0. თამაშის შემდგომი მსვლელე-  
ბა სრულიად საწინააღმდეგო სუ-  
რათს წარმოადგენდა და სტუმრებმა  
ზედიზედ 4 ბურთი გაიტანეს მეტო-  
ქის კარში. მაგრამ ამ უჩვეულო  
ვითარებაში ძალთა შეფარდება  
მინდორზე კვლავ შეიცვალა, თე-

ლაველებმა გააძლიერეს თამაში და  
მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით  
6:4.

11 ქვეჯგუფის ლიდერი — ლან-  
ჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე  
თამაშობდა თბილისის „სპარტაკ-  
თან“. თბილისელებმა კარგად ჩაა-  
ტარეს აღნიშნული შეხვედრა და  
ღირსეული წინააღმდეგობა გაუ-  
წიეს ლიდერს, მაგრამ ლანჩხუ-  
თელთა გამოცდილებამ და შეთამა-  
შებამ მიიწვინა თავი. საბო-  
ლოდ „გურიაში“ მოიპოვა გა-  
მარჯვება ანგარიშით 2:1.

ქვეჯგუფის აუტსაიდერი — რუს-  
თავის „სპარტაკი“ თამაშობდა  
ახალციხის „მესხეთთან“. მიუხედა-  
ვად იმისა, რომ ახალციხელთა თავ-  
დამსხმელმა ნ. ცაგარეიშვილმა  
გახსნა ანგარიში, სპარტაკელები  
მატჩის ბოლომდე თამაშობდნენ  
დიდი მონდომებით, კოლექტიურად,  
რამაც ნაყოფი მოიტანა. მათ გაქ-  
ვიტეს ეს გოლი და ფრედ დამა-  
თავრეს თამაში — 1:1.

დამაჯერებლად აგროვეს ქუ-  
ლებს ცხაპიას „განთიადი“, რომე-  
ლიც თავის მინდორზე შეხვედა  
ზუგდიდის „ოლიშს“. მასპინძლები  
თამაშობდნენ უფრო მოფიქრებულ-  
ად და მოთამაშეთა ინდივიდუა-  
ლური ტექნიკაც უკეთ გამოიყურე-  
ბოდა. განთიადელებმა 4 ბურთი  
გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში,  
საკუთარში მიიღეს მხოლოდ 2 და  
გამარჯვებულებმა დატოვეს მინ-  
დორი — 4:2.

სრული უპირატესობა ჰქონდა  
გორის „დილას“ თბილისის „ისანი-  
თან“ შეხვედრაში. მასპინძლები  
მთელი თამაშის განმავლობაში შე-  
ტევაზე იყვნენ, რაც საბოლოოდ  
დამთავრდა იმით, რომ თბილისელ-  
თა კარში გატანილ იქნა 4 ბურთი.  
ეს „ისანის“ მეექვსე დამარცხებაა.

სამტრედილაში ამ დღეს ერთმა-  
ნეთს შეხვედნენ ადგილობრივი  
„ლოკომოტივი“ და ქუთაისის  
„მშენებელი“. ტერატიორული უპი-  
რატესობა თავიდანვე მოიპოვეს  
სამტრედილებმა, რომლებიც თა-  
მაშობდნენ გაშლილი ფრონტით და  
კარგი ურთიერთმოქმედებით. პირ-  
ველი ტაიმი დამთავრდა მათ სასარ-  
გებლოდ — 3:0. შესვენების შემ-  
დეგ თამაში უფრო წყნარი ხასია-  
თი მიიღო და ცვლილება ანგარიშ-  
ში არ მომხდარა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა  
მატჩი ფოთში ადგილობრივ „მე-  
ზღვარსა“ და წულუკიძის „ფეი-  
ქარს“ შორის. ანგარიში გახსნეს  
მასპინძლებმა, მაგრამ წულუკიძის  
ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში  
მთელი თავიანთი მაქსიმუმით ითა-  
მაშეს და დაამარცხეს „მეზღვარი“  
ანგარიშით 2:1.

უპირატებით ითამაშეს ყვარლის  
„დურუჯის“ ფეხბურთელებმა სტა-  
ლინოში ადგილობრივი „სპარტა-  
კის“ წინააღმდეგ. მიუხედავად იმი-  
სა, რომ ორივე გუნდს ჰქონდა  
ბურთის გატანის მრავალი შესაძ-  
ლებლობა, მატჩს შედეგი არ მოუ-  
ცია — 0:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 1 ივნისისათვის

**I კვაჯაუზი**

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„ტორპედო“ მ. 9 7 1 1 15:6 15
„ავანგარდი“ ხ. 9 5 3 1 10:6 13
„ნეფტაჩანი“ ბ. 9 4 4 1 11:8 12
სკა როსტ. 10 4 2 4 18:11 10
„ლოკომოტ.“ მ. 9 3 4 2 14:15 10
„დინამო“ თბ. 9 4 1 4 12:10 9
„დამირალტ.“ ლ. 9 4 1 4 10:8 9
„დაუგავა“ რ. 9 2 3 4 10:13 7
„შახტიორი“ სტ. 9 1 4 4 6:18 6
„ტრუდი“ ვორ. 9 1 3 5 5:10 5
„სპარტაკი“ ვ. 9 0 4 5 7:18 4

**II კვაჯაუზი**

„დინამო“ ქ. 9 7 0 2 21:8 14
ცხკა 9 6 1 2 23:15 13
„სპარტაკი“ მ. 8 4 3 1 14:7 11
„პახტაკორი“ ტ. 8 4 2 2 15:15 10
„კაირატი“ ა-ტა 9 3 3 3 10:15 9
„ზენიტი“ ლ. 10 3 3 4 14:19 9
„მოლდოვა“ კიშ. 9 3 2 4 18:16 8
„დინამო“ მ. 9 3 2 4 11:14 8
„სპარტაკი“ ერ. 9 1 5 3 13:16 7
„ბელარუსი“ მფ. 9 2 1 6 9:14 5
„კალევი“ ტალ. 9 0 4 5 8:17 4

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპა-  
რტაკი“ (ვრენისი) — 5:2  
სკა (როსტოვი) — „ტორპედო“ (მო-  
სკოვი) — 1:1  
„დაუგავა“ (რიგა) — „ტრუდი“ (ვო-  
რონევი) — 2:0  
„დამირალტევი“ (ლენინგრადი) —  
„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 0:1  
„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“  
(ერევანი) — 1:0.

## წინ არიან რუმინელი მოჭადრაკეები

ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა  
ბუქარესტს, საიდანაც ოსტატო-  
ბის კანდიდატმა თ. გიორგაძემ გაღ-  
მოგვცა, რომ მეორე ტურის გადა-  
ღებულ პარტიებში ქართველ მო-  
ჭადრაკეებს პოზიციების დათმობა  
მოუხდათ. ჩაიკოვსკიამ წააგო პე-  
რეკოზნიკთან, კაპაბლანკა — თეო-  
დორესკუსთან, ჯინჯიბაშვილმა —  
გეორგიუსთან, გიორგაძემ — შო-  
ოშთან, მხოლოდ შიშოვისა და  
დრიმერის პარტია დამთავრდა ყაი-  
მით, როგორც ადრე ვიუწყებოდით,  
11 ტურში გურგენიძემ და ბუს-  
ლაევმა თამაში ყაიმით დამთავ-  
რეს ჩაიკოვსკისთან და გიცესკუს-  
თან, ხოლო გაფრინდაშვილმა უშო-  
გო პოლიქრონიადესს ამრიადა, მეო-  
რე ტურის საბოლოო შედეგია  
5,5:2,5 რუმინელ მოჭადრაკეთა  
სასარგებლოდ.

მესამე ტური შედგა 30 მისის,  
ბუსლაევმა დამარცხა შოოში,  
გიორგაძემ მიტრელუ, ხოლო  
გაფრინდაშვილმა = პოლიქრონიადე-  
თამაში ყაიმით დამთავრეს გურ-  
გენიძემ ჩაიკოვსკისთან, ხოლო ტო-  
გონიძემ — ნიკოლაუსთან. შიშო-  
ვი დამარცხდა გიცესკუსთან, ხო-  
ლო ჩაიკოვსკიამ — პერეკოზნიკ-  
თან. ჯინჯიბაშვილს მძიმე მდგომა-  
რეობაში აქვს გადაღებულ პარ-  
ტია გეორგიუსთან. ჯერჯერობით  
მესამე ტურის საერთო შედეგია —  
4:3, სამი ტურის შედეგად წინ  
არიან რუმინელი მოჭადრაკეები,  
რომლებსაც შეხვედრა მიჰყავთ ან-  
გარიშით 12:11, გუშინ ვათამაშდა  
მეოთხე ტური და შეჯიბრება დამ-  
თავრდა.


ჩვენი მოჭადრაკეები ჩაატარე-  
ბენ 2 შეხვედრას ქ. პლოეშტის  
ნაკრებ გუნდთან. როგორც თ. გი-  
ორგაძე გვატყობინებს, ამ ქალაქის  
ნაკრებში შედიან რუმინეთის უძ-  
ლიერესი მოჭადრაკეები.

გუშინ, სტალინოში ადგილობ-  
რივმა „შახტიორმა“ მორიგ კალენ-  
დარულ მატჩში მიიღო თბილისის  
„დინამო“. სტუმრები მოედანზე  
გამოვიდნენ თავიანთი საბრძოლო  
შემადგენლობით, მაგრამ თამაშობ-  
დნენ შეუთანხმებლად, უშეგებდნენ  
შეცდომებს, რითაც კარგად ისარ-  
გებლეს სტალინოელებმა და გაი-  
მარჯვეს — 2:0.

ეს „შახტიორის“ პირველი გამარ-  
ჯებაა.



ШИРЬ ПРИВОЛЬНА  
СОЛНЦЕ СВЕТИТ  
ДЛЯ ТУРИСТА ДУХ  
ЛОДКА И БАЙДАРКА!



ПАРАТ  
П. ДЕМЕТЬЕВА



МУЖЕСТВОМ, ЛОВКОСТЬЮ, СИЛОЙ ГОРДЫ-  
МНОЖИМ СОВЕТСКИХ СПОРТСМЕНОВ РЯДЪ

სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამოცემლობის მიერ გამოცემული ახალი სპორტული კლასიკები.

ჩვენს გაზეთის მკითხველს თ. შა-  
ნოქის აინტერესებს: რა შემთხვევა-  
ში ეძლევა მოქიდავეს 2 ქულა და  
რა შემთხვევაში — 1.  
2 საჭარიმო ქულას მოქიდავე  
ლებულს იმ შემთხვევაში, როცა  
შეხვედრა ფრედ მთავრდება,  
ბრძოლის ქულებით მოგების შემთ-  
ხვევაში მოქიდავეს ვწერება ერთი  
საჭარიმო ქულა.

ვინ იყო ყველაზე პოპულარული  
კალათბურთელი საქართველოში.  
რედაქციის აზრით ჩვენს რეს-  
პუბლიკაში ყველაზე პოპულარული  
კალათბურთელები იყვნენ: თ. ქორ-  
ქია და ნ. ჯორჯია.

ბა. მსოფლიოს პირველობა მოყვა-  
რულთა შორის კრივეში არ ეწყობა.

ჩვენს გაზეთის მკითხველს ო.  
თხილაიშვილს (ქობულეთის რაიონი,  
სოფ. ხუცუბანი) აინტერესებს, რო-  
მელ ქვეყანაში წარმოიშვა კალათ-  
ბურთი და ვინ იყო პირველი  
მსოფლიო ჩემპიონი კალათბურთში.  
კალათბურთის ავტორია ამერიკის  
შეერთებული შტატების ერთ-ერთი  
კოლეჯის პასტორი, დოქტორი უე-  
ნისმიტი. პირველი მსოფლიო ჩემ-  
პიონი კალათბურთში იყო ამერი-  
კის შეერთებული შტატების ნაყ-  
რები.

შობდენ ფეხბურთს, მაგრამ ექიმე-  
ბმა დაასკენეს, რომ ეს თამაში მათ-  
თვის საზიანოა. ამიტომ ქალთა  
ფეხბურთი აიკრძალა. უცხოეთის  
ზოგიერთ ქვეყანაში, ქალთა გუნდე-  
ბი ღელსაც თამაშობენ ფეხბურთს.

ბაზე და როგორ ითამაშა თბილს-  
ის „დინამოსთან“?

თბილისის „ლოკომოტივი“ შეიქმ-  
ნა 1936 წელს ყოფილ ტსპო-ს ბაზა-  
ზე. მის შემადგენლობაში იყვნენ  
ნ. სოლონინი, ს. შულრა, ნ. ჩხა-  
ტარაშვილი, შ. ჩხატარაშვილი, ბ.  
ვორონინი, შ. რამიშვილი, ს. აკო-  
ფოვი, გ. ჯაჭვალაძე, ლ. ლოლაძე,  
გ. აფრიდონიძე და სხვანი. 1938  
წელს „ლოკომოტივი“ მონაწილეო-  
ბდა საკავშირო ჩემპიონატში და  
წააგო მატჩი თბილისის „დინამოს-  
თან“ ანგარიშით 1:4.

სპორტის მოყვარულები რუსთა-  
ვიდან ყ. ფილიევი და გ. რიკაძე  
გვეკითხებიან: რატომ დასტოვა  
სპორტი პ. ანდერსონმა?



ცნობილმა ამერიკელმა ძალოსან-  
მა პ. ანდერსონმა პროფესიონა-  
ლებში გადასვლის გამო დაანება  
თავი სპორტულ შეჯიბრებებში მო-  
წაწილებას, რა იყო ამის მიზეზი,  
ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის.

სპორტის მოყვარულს ა. უორდ-  
ნის აინტერესებს: რამდენჯერ იყო  
მსოფლიო ჩემპიონი თურქი მოქი-  
დავე მ. დაღისტანლი.

დაღისტანლი მსოფლიო ჩემპიონი  
პირველად 1954 წელს გახდა, ღღეს  
იგი მსოფლიოს სამგზის და ოლიმ-  
პიური თამაშების ორგზის ჩემ-  
პიონია.

თბილისის სახელმწიფო სამედი-  
ცინო ინსტიტუტის სტუდენტებს  
დ. ლორთქიფანიძეს, ზ. შეროზიას  
და შ. მაღალიას აინტერესებთ: რო-  
ლის ჩამოყალიბდა თბილისის „ლო-  
კომოტივის“ ფეხბურთელთა გუნ-  
დი, ვინ თამაშობდა მის შემადგენ-  
ლობაში, მონაწილეობდა თუ არა  
იგი საბჭოთა კავშირის პირველო-

რედაქტორი ი. უგულავა.

სპორტის მოყვარული ე. სირაძე  
თბილისიდან გვეკითხება: შეუძლია  
თუ არა რომელიმე საბჭოთა მოყ-  
რევს გამოიწვიოს მატჩში მსოფ-  
ლიოს აბსოლუტური ჩემპიონი  
ფლოიდ პატერსონი?

არ შეუძლია, ვინაიდან პატერსონ-  
ი პროფესიონალი მოკრივეა, ჩვენ-  
თან კი კულტივირებულია მხოლოდ  
სამოყვარულო კრივი.


გაზეთის მკითხველს ვ. შენგე-  
ლიას (სამტრედი) აინტერესებს

გაზეთ „ლელოს“ მკითხველი  
ქალაქ სლუცკიდან დ. მიმინოშვი-  
ლი გვეკითხება: არსებობს თუ არა  
კრივის ერთიანი წესები, არის თუ  
არა საბჭოთა კავშირიდან ვინმე  
მსოფლიოს ჩემპიონი.  
მოყვარულთა ყველა შეჯიბრება  
კრივის ერთიანი წესებით ტარდე-

სპორტის მოყვარულებს გ. ქომე-  
თიანს, ვ. ჯღარკავს, ვ. ქომეთიანს  
სურთ გაიგონ, თუ რამდენად მიზან-  
შეწონილია ფეხბურთის თამაში ქა-  
ლთათვის, ან მოსალოდნელია თუ  
არა ჩვენს ქვეყანაში ასეთი გუნდე-  
ბის შექმნა.

ოღესლად, დაახლოებით 30-35  
წლის წინათ, ქალები ჩვენში თამა-

4-11  
ივნისი  
ფიზკულტურალის  
პარკის  
საზაფხულო  
აუზი



საკავშირო  
პირველობა  
ფეხბურთში  
დასაწყისი 17 საათზე.

როგორც უკვე ვიუწ-  
ყებოდით, „სანტოსის“  
მექანიკაში გასტროლების  
შემდეგ სახიფათო ტრა-  
გმა მიიღო პელები. იგი  
საესეებით გამომჯობინე-  
ბული არ იყო, როცა  
დაიწყო გ. წ. „მაქსიმალ-  
ური ტურნირის“ (ბრა-  
ზილის არაოფიციალუ-  
რი ჩემპიონატი) გათამა-  
შება. გუნდის ხელ-  
მძღვეანლობამ თავისი  
მსხმელისაგან მოითხოვა  
ჩემში მონაწილეობა, თუმცა კარ-  
გად იცოდა, თუ რაოდენ სახიფა-  
თოდ იყო იგი ტრავმირებული (ექი-  
მებმა სინამდვილე დაუმაღეს პე-  
ლებს) და პელები მიიღო ახალი  
ტრავმა, რომელმაც სასოწარკვეთი-  
ლებში ჩააგდო ბრაზილიის ნაყ-  
რების ლეიბ-მედიკი, ცნობილი ექი-  
მი ნ. გოსლინგი. აი მისი დასკვნა:  
„საჭიროა უსწრაფესი ოპერაცია,  
წინააღმდეგ შემთხვევაში პელები ვე-  
ლარასოდეს ითამაშებს ფეხბურთს!“  
„კვლავ მოიყვანს თუ არა აღტა-  
ცებაში მყოფრებელს ბრაზილიის  
სიამაყე პელები?“ — ეს კითხვა არ  
შორდება გაზეთებს. ამ ფონზე  
სრულად მოულოდნელი იყო  
ეროვნული ნაყრების ახალი მწვერ-  
თელს მორიერას განცხადება:




### ბენაჯარების მსხვერპლი

„ჩვენ საქმას სათადარიგო მოთამა-  
შეები გვყავს და პელებს არ ესაქი-  
რობთ!“ ეს ყველაფერი ხდება  
მას შემდეგ, რაც „შავმა მარგალი-  
ტმა“ ასეთი ფასდაუდებელი სამსა-  
ხური გაუწია თავის გუნდს მსოფ-  
ლიო ჩემპიონატში, პელებს მიმართ  
უსულგულო დამოკიდებულება გა-  
მოიჩინეს „სანტოსის“ მწვერთე-  
ლებმაც. სან-პაულუს შტატისა და  
ბრაზილიის არაოფიციალური ჩემ-  
პიონატების შემდეგ ისინი ყოველ-  
წლიურად აწყობდნენ გასტრო-  
ლებს ევროპაში, ზადაც ფეხბურ-  
თელთა ექსპლათაცია უნახავ ფო-  
რმებს აღწევდა. პელებს თამაში უხ-  
დებოდა ყოველ მესამე ღღეს, ამა-

სობაში კი მისი მეტა-  
რონები ჯიბეს ისქელებ-  
დნენ. „მსოფლიოს პირ-  
ველი ფეხბურთელი“  
მრავალი ტრავმის მიუ-  
ხედავად განაგრძობდა  
თამაშს. იგი ისე გადაა-  
ლა, რომ თავის კარი-  
ერას დასრულებულად  
კი თვლიდა.

ოპერაციის შემდეგ  
პელებს ხანგრძლივად უნ-  
და იმკურნალოს, მაგრამ ჯერ-  
ჯერობით ნათელი არაა, შექ-  
ლებს თუ არა იგი ოღესვე თამაშს,  
მისი ხარბი მწვერთელები სავანე-  
ბოდ დაისაჯენ — „სანტოსმა“, რო-  
მელიც ლიდერობდა „მაქსიმალურ  
ტურნირს“ და პირველი ადგილი  
თითქმის განაღდებული ჰქონდა,  
ფინიშზე სამი რიგითი დამარცხება  
განიცადა და მხოლოდ მეხუთე ად-  
გილზე აღმოჩნდა. საყურადღებოა,  
რომ დასკვნით თამაშებში „სან-  
ტოსს“ სძლია „ფლაშენგომ“—1:0,  
რომელთანაც პირველ შეხვედრაში  
სან-პაულუს გუნდმა იშვიათი რე-  
კორდი დაამყარა. მაშინ „სანტოს-  
მა“ მეტოქე დაამარცხა ანგარიშით  
7:1 და 5 ბურთი თვით პელებმ გაი-  
ტანა.



2-3-4  
ივნისი  
სპორტის  
სასახლე

საპალატაზორისო  
ტურნირი  
დასაწყისი 19 საათზე.